

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2020 წლის 16 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლი 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის №32 დადგენილების (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 20/12/2020; 190020020.35.143.016571) დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 172.3	23273,7	8496,6	14777,2	24564.7	8870.5	15694.2
გადასახადები	3 373.7	13217,8	0.0	13217,8	12824.2	0.0	12824.2
გრანტები	10 429.3	8510,9	8496,6	14,3	10720.5	8870.5	1850.0
სხვა შემოსავლები	1 369.3	1 545,0	0.0	1 545,0	1020.0	0.00	1020.0



ხარჯები	9 425.6	10831,4	244,5	10587,0	11423.9	133,17	11290,7
შრომის ანაზღაურება	1 860.8	1905,8	0.0	1905,8	1796,2	0.00	1796,2
საკონელი და მომსახურება	1 108.9	1227,9	115,5	1112,4	1651,0	96.2	1554,8
პროცენტი	89.0	73,4	0.0	73,4	83.4	0.00	83.4
სუბსიდიები	5 150.4	5635,7	0.0	5635,7	5756.2	0.00	5756.2
გრანტები	19.8	372,6	0.0	372,6	607,0	0.00	607,0
სოციალური უზრუნველყოფა	857.2	874,1	0.0	874,1	878.3	0.00	878.3
სხვა ხარჯები	339.5	742,0	128,9	613,0	651.8	37.0	614.8
საოპერაციო საღდო	5 746.7	12442,3	8252,1	4190,2	13140.8	8737.3	4403.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 826.1	12021,9	8538,7	3483,2	14057.7	8906.2	5151.5
ზრდა	6 390.2	12406,0	8538,7	3867,3	14583.8	8906.2	5677.6
კლება	564.1	384,2	0.0	384,2	526.15	0.00	526.15
მთლიანი საღდო	-79.4	420,4	-286,6	707	-916.9	-168.9	-748.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-82.1	360,4	-286,6	647,0	-1016.9	-168.9	-848.0
ზრდა	847.4	647,0	0.0	647,0	0.00	0.00	0.00
ვალუტა და დეპოზიტები	847.4	647,0	0.0	647,0	0.00	0.00	0.00
კლება	929.5	286,6	286,6	0,0	1016.9	168.9	848.0
ვალუტა და დეპოზიტები	929.5	286,6	286,6	0,0	1016.9	168.9	848.0
ვალდებულებების ცვლილება	-2,7	-60,0	0.0	-60,0	-100.0	0.00	-100.0
კლება	2,7	0,0	0.0	0,0	100.0	0.00	100.0
საშინაო	2,7	60.0	0.0	60.0	100.0	0.00	100.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.00	0.00	0.00



მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 736.4	23657,9	8496,6	15161,3	25090.85	8870.5	16220.35
შემოსავლები	15 172.3	23273,7	8496,6	14777,2	24564.7	8870.5	15694.2
არაფინანსური აქტივების კლება	564.1	384,2	0,0	384,2	526.15	0.00	526.15
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ზრდა	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გადასახდელები	15 818.5	23297,5	8783,2	14514,3	26107.7	9039.4	17068.3
ხარჯები	9 425.6	10831,4	244,5	10587,0	11423.8	133.1	11290.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 390.2	12404,9	8538,7	3867,3	14583.9	8906.3	5677.6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების ცვლილება	2,7	-60,0	0,0	-60,0	100.0	0.00	100.0
ნაშთის ცვლილება	-82.1	360,4	-286,6	647,0	-1016.9	- 168.9	-848.0

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 24 564.7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 172.3	23273,7	8496,6	14777,2	24564.7	8870.5	15694.2



გადასახადები	3 373.7	13217.9	0,0	13217,8	12824.2	0.0	12824.2
გრანტები	10 429.3	8510,8	8496,6	14,3	10720.5	8870.5	1850.0
სხვა შემოსავლები	1 369.3	1 545,0	0.0	1 545,0	1020.0	0.00	1020.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 12 824.2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3 373.7	13217,8	0.0	13217,8	12824.2	0.00	12824.2
საშემოსავლო გადასახადი	897.6	0.0	0,0	0.0	0	0.00	0
ქონების გადასახადი	2 476.2	2865,5	0.0	2865,5	2300.0	0.00	2300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 202.6	1340,7	0.0	1340,7	1244.8	0.00	1244.8
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	412.7	588,7	0.0	588,7	0,0	0.00	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40.9	56,2	0.0	56,2	22.0	0.00	22.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	172.6	158,9	0.0	158,9	165.0	0.00	165.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	647.4	721,1	0.0	721,1	868.2	0.00	868.2
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0		0.00	
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	10352,3	0.0	10352,3	10524.2	0.00	10524.2

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 720.5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გრანტები	10 429.3	8510,8	10720.5



საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.00	0.0	0.00
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10 429.3	8510,8	2150.7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	7 365,8	217.6	2150.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	7 140,8	0,0	0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	225,0	217,6	300.7
სპეციალური ტრანსფერი	0	0	1850,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 962.8	8293,2	8569.8
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2 962.8	5131,4	5989.8
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	844,0	844.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.00	0.0	826.0
სხვა ტრანსფერები	100,6	2317,8	910.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 020.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 369.3	1545,0	1020.0
შემოსავლები საკუთრებიდან	22.5	268,6	250.0
პროცენტები	0.00	0.00	0.00
დივიდენდები	0.00	0.00	0.00
რენტა	225.5	268,6	250.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	208.8	259,9	240.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16.7	10,0	10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	373.9	268,8	240.40



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	348.9	228,7	200.400
სანებართვო მოსაკრებელი	99.9	56,6	50.0
სატენდერო მოსაკრებელი	0.00	0.00	0.00
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,2	0,6	0.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	106.2	0,0	0.00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	141.6	171,5	150.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25.0	40,1	40
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	25.0	26,0	40
ჯარიმები, სანქციები და საურავები	673.6	825,7	529.6
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.00	0.00	0.00
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	96.4	181,9	0.00

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11423.8 ათასი ლარის ოდენობით, ზრდა წინა წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან განპირობებულია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „გრანტები“ ზრდით, რამდენადაც ასიგნებები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის აქტივების პოტენციური ზრდისათვის.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი			2020 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9 425.6	10831,4	244,5	10587,0	11423.88	133,18	11290,7
შრომის ანაზღაურება	1 860.8	1905,8	0.0	1905,8	1796,2	0.00	1796,2
საქონელი და მომსახურება	1 108.9	1227,9	115,5	1112,4	1651,01	96.2	1651,01
პროცენტი	89.0	73,4	0.0	73,4	83.4	0.00	83.4
სუბსიდიები	5 150.4	5635,7	0.0	5635,7	5756.26	0.00	5756.26
გრანტები	19.8	372,6	0.0	372,6	606.97	0.00	606.97
სოციალური უზრუნველყოფა	857.2	874,1	0.0	874,1	878.26	0.00	878.26
სხვა ხარჯები	339.5	742,0	128,9	613,0	651.78	36,98	614,80



მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 14057.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 14583.8 ათასი ლარის ოდენობით

კოდი	დასახელება	2018 წ. ფაქტი	2019 წ. ფაქტი	2020 წ. გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	18.3	78.9	18.3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4629.3	10314.9	12936.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	0,0	1.6
04 00	განათლება	510,7	913.2	1085.3
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1232.2	891.7	527.9
06.00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა	0.0	209,3	14.3

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 526.15 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	564.1	384,2	526.15
ძირითადი აქტივები	306,5	0.00	506.15
არაწარმოებული აქტივები	257.6	384,2	20.00
მიწა	257.6	384,2	20.00

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

func. kodi	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 394.5	2633.4	2573.0



7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 394,5	2500.0	2573.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 392.9	2498,2	2385.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	1,6	1.7	188.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	133.4	0,0
702	თავდაცვა	122.2	125,4	125,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4062,1	7824.3	12368.0
7045	ტრანსპორტი	4 062,1	7824.3	9131.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 062,1	6812.8	9131.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0,0	1011.5	3237.0
705	გარემოს დაცვა	1 174,0	1064.8	1628,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1174,0	1064.8	1628,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 826,0	4119.9	1919.0
7061	ბინათმშენებლობა	8,7	451.4	0
7063	წყალმომარაგება	240,7	651.4	1151.0
7064	გარე განათება	692.3	698.1	768.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	884,3	2319.0	
707	ჯანმრთელობის დაცვა	94,3	303,6	101.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	94,3	303.6	101.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2860,8	3131.9	3027.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1755,8	1338.8	1211.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 039.6	1693.1	1716.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	65,3	100.0	100,0
709	განათლება	2 262.1	2912,8	3141,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 262.1	2039.4	2089,0
7092	ზოგადი განათლება	0.00	873.4	1053,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0.00	0,0	0.00
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.00	0,0	0.00
710	სოციალური დაცვა	1 015.5	1053,6	1225,0



7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	20,9	9,9	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	2,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	51,7	31,1	38,2
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,00	0,0	0,00
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	753,0	818,8	1087,8
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	189,9	194,6	97,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 916.89 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
საოპერაციო სალდო	5746.7	12442,3	13140.8
მთლიანი სალდო	-79.4	420,4	916.89

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 1016.89 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-82.1	360,4	-1016.89
ზრდა	847.4	647,0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	847.4	647,0	0.0
კლება	929.5	286,6	1016.89
ვალუტა და დეპოზიტი	929.5	286,6	1016.89

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 100,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
------------	------------	------------	------------



	ვალდებულებების ცვლილება	-2.7	-60,0	-100.0
	ზრდა	0.0	0.0	0.0
	საშინაო	0.0	0.0	0.0
	საგარეო	0.0	0.0	0.0
	კლება	2.7	60,0	100.0
	საშინაო	2.7	60,0	100.0
	საგარეო	0.0	0.0	0.0

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150,3 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი - 225,0 ათასი ლარი მიიღმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 125,0 ათასი ლარი;

გ) სარიტუალო მომსახურება 5,0 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პროგრამები და 2020-2023 წლების პრიორიტეტები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პროგრამები და 2020-2023 წლების პრიორიტეტები

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა

	დასახელება	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 გეგმა
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის	2608,0	2623.7	2509,76



უზრუნველყოფა

01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	620	643,0	651,55
	ხარჯები	618.8	639,5	646,55
	შრომის ანაზღაურება	436.3	453,3	453,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.2	3,5	5.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1772.9	1855.2	1733,21
	ხარჯები	1757.0	1783,6	1720,68
	შრომის ანაზღაურება	1325.5	1349.7	1249,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15.9	71,6	12.53
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	122.2	125.3	125,0
	ხარჯები	121.0	123,4	124,3
	შრომის ანაზღაურება	99.0	102,8	93.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.2	1,9	0.74

01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები

01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1,6	135.1	187.9
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	0,0	2.9
	ხარჯები	0.0	0,0	2.9
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1.6	1.7	1.6
	ხარჯები	1.6	1,7	1.6
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	0.0	133,4	183.4
	ხარჯები	0.0	73,4	83.4
	ვალდებულებების კლება	0.0	60,0	100.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	01 02 03
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სამსახური
დაფინანსება	183,4 ლარი



პროგრამის მიზანი და აღწერა	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესიო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, შევიძინეთ სპეც მანქანები. აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 359.4 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი - 282,2 ლარს. 2020 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის 100.0 ლარის დაფარვა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ქ. ხაშურში მე-7 ბაღის რეაბილიტაცია აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 452,2 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 180.8 ლარს. 2020 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის 83,4 ლარის დაფარვა. სულ 183.4 თანხის გადახდის დღისათვის, გადასახდელი დარიცხული საპროცენტო თანხა შეიცვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ამასთან გადასახდელი ძირითადი თანხა არ შეიცვლება, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდის დღის დადგომამდე.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სასესიო ვალდებულება დაიფარება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურული პროექტების მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა მთავრობას, გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები, საკუთარი საქმიანობის გა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლო მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტი განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ე დაკავშირებული ხარჯები.

	დასახელება	2018 ფაქტი	2019 გეგმა	2020 გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5805,0	11862.3	14286.97
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4046,9	6797,6	9131.14
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია	3761,6	6511,8	8818.88
02 01 02	შიდა გზების მოვლა პატრონობა	275,0	274,3	279.0
02 01 03	თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება	10,3	11,5	33.25
02 02	წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	318,7	651,3	1150.77
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	240,7	651,3	1100.66
02 02 01 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	221,4	631,3	1077.28
02 02 01 02	წყლის სათავე ნაგებობების მოვლა შენახვა	19,3	20,0	23.38



02 02 02	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	78,0	451,4	50,10
02 02 02 01	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	36,0	142,2	10,10
02 02 02 02	სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა	42,0	309,2	40,0
02 03	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა	692,3	698,1	767.93
02 03 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	418,1	403,7	393.73
02 03 02	გარე განათების სისტემების მოვლა პატრონობა	274,2	294,4	374.2
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	8,7	226,5	136.8
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	208,7	209,3	854.4
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	208,7	209,3	854.4
02 05 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების და სპორტული მოედნების მოწყობა	136,5	308.7	570.4
02 05 01 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0	78,3	168.6
02 05 01 03	ქალაქ გაფორმებითი ღონისძიებები	19,8	57,0	36,8
02 05 01 04	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	52,4	46,4	78.6
02 06	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	0,0	1011,5	1407.5
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	385,3	679,8	780.1
02 08	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია.	144,4	872,1	58.3

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 01
პროგრამის დასახელება:	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	8818.8 ლარი
	პროგრამის მიზანია: პრიორიტეტის ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ დაგეგმილია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რემონტი შემდეგ ლოკაციაზე: დაბა სურამში ჭონქაძის, სარაჯიშვილის, ტაბიძის და ფიროსმანის ქუჩების და სოფელ ზემო აძვისში გზის მოასფალტება, ასევე დასრულდება სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზების მოასფალტება (რგფ-ის თანადაფინანსება). ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს



პროგრამის მიზანი და აღწერა

მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5989,8 ათასი ლარი, აქედან გზების რეაბილიტაციაზე განსაზღვრულია 5364,4 ათასი ლარი, განხორციელდება სოფელ მიწობში გზის მოასფალტება, დაბა სურამში გოგებაშვილის, წინოშვილის, შშვიდობის, ტალახაძის, ჭონქაძის ქუჩების მოასფალტება, სოფელ ჩორჩანის ბეტონის საფარის მოწყობა და სოფელ ქვემო აძვისში გზის მოასფალტება, ამდენად ეტაპობრივად განხორციელდება გზების სრული რეაბილიტაცია, 2020 წლის 18 მარტის N551 განკარგულების შესაბამისად „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან სოფელ ჩორჩანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 826,0 ათასი ლარი, რაც შესაძლებელს გახდის რომ, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე, ხოლო სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით.

მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული გზები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლე, დამსვენებელი და ტურისტი, მათ შორის ტურისტი. დასრულდება სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე, სოფელს აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი, ამდენად მოასფალტებული გზა მნიშვნელოვანი დამაკავშირებელია მიმდებარე სოფლების, ადმინისტრაციულ ცენტრთან. ამ გზით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. საერთო ჯამში ისარგებლებს 4000 ადგილობრივი მოსახლე და მგზავრი მათ შორის 1500 მგზავრი სიგრზე 4050 გრ/მ. ქალაქ ხაშურს გააჩნია ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ტრანზიტული მიმოსვლის თვალსაზრისით რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო კორიდორის შექმნას, განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქალაქისათვის არამედ მთელი რეგიონისათვის მოვლილი ქალაქის ქუჩები გზები და ტროტუარები ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 02
პროგრამის დასახელება:	შიდა გზების მოვლა - შენახვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	279.0 ლარი
	<p>ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 267,9 კმ-ს. ა) ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მიმართულების მუდმივი სრულყოფა ქუჩების დაპროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის სფეროში პროგრესი ქუჩების კეთილმოწყობაში დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან გრუნტის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა მიწის საფარის ჰიდრო და სითბური რეჟიმის კანონების გათვალისწინება მინერალური მასალების ფართოდ შესწავლა მოხრეშილი საფარიანი გზების მშენებლობის ტექნოლოგიების გამოკვლევა და სხვა ბ) ნორმალური ქუჩა და გზა ხელს უწყობს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება კი განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების ტემპებს და დონეს ქალაქის და სხვა ტიპის ტრანსპორტის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ გზებისა და ქუჩების განვითარებული ქსელის არსებობის პირობებში, რომელსაც გააჩნია ყველა თვისება უსაფრთხო მოძრაობისათვის როგორც გამოცდილებამ უჩვენა ნორმალური ქუჩა და გზა დადებითად მოქმედებს ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაზე ამავე დროს აქვს უარყოფითი თვისებებიც, რაც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევასთან გ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია</p>



პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>საგზაო ნიშნების დაყენება ზღუდების დადგმა მიმმართველებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების დატანა ქუჩის ასფალტირებულ საფარზე ე) საგზაო ნიშნები და შუქნიშნები მონტაჟდება ისე, რომ ადვილი და თავისდროული გასარჩევი და დასანახი იყოს იმ მძღოლისათვის ვისთვისაც არის გათვალისწინებული ქვეპროგრამის განხორციელების გზები: ა) დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსაიულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ქალაქ ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან და შესაბამისი მოვლა-პატრონობა. ბ) განხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების (მდ. სურამულა, მდ. ჭერათხელა) კალაპოტის წმენდა და ამოღებული ინერტული მასალების ძირითადი მასა გამოყენებული იქნება გზების სარეაბილიტაციოდ. გ) მუნიციპალიტეტის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს გზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (გრუნტის მოჭრა-გატანა, მოხრეშვა, მოშინდაკება, მოსწორება, თოვლის საფარისაგან გაწმენდა დანართი N1 შესაბამისად) და საჭიროებისამებნ შეიძინოს აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალები (საწვავი, ქვიშა-ღორღი, ტექნიკური მარილი), რიგ შემთხვევაში მოახდინოს საჭირო მექანიზმების დაქირავება. დ) მუნიციპალიტეტის მოთხოვნების შესაბამისად გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შედგეს წინასწარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო შესრულებულ სამუშაოებზე შესრულებული სამუშაოს აქტი და მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისა და სამუშაოს შემსრულებლის ხელმოწერით დადასტურებული. ე) საჭიროების შემთხვევაში სანიაღვრე არხების მოწყობა, საგზაო ნიშნების და საგზაო მონიშვნების მოწყობა, სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მოწყობა, ასფალტირებულ ქუჩებზე ორმოვლის შეკეთება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ქ. ხაშურში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესაბამისად შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას, ასევე ქალაქის ქუჩების, დაბა სურამისა და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ქალაქ ხაშურის და სოფლების ადგილობრივი მოსახლეები და დამსვენებლები საკურორტო სეზონზე.</p>

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 01 03
პროგრამის დასახელება:	თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	33.2 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებით მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებისა და უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ისინი აფრთხილებენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სხვადასხვა სახიფათო უბნებთან მიახლოების შესახებ, ზღუდავენ ან კრძალავენ ქუჩებისა და გზების ცალკეულ უბნებზე ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, აწესრიგებენ გზაჯვარედინის, სავალი ნაწილების გადაკვეთისა და გზის ვიწრო უბნის გავლის თანმიმდევრობას, აზუსტებენ ძირითადი ნიშნების მოქმედების ზონას, დროს, მანძილს ობიექტამდე ან ზღუდავენ მათ მოქმედებას. მოძრაობის უსაფრთხოებისა და მძღოლთა ორიენტირების უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება ზღუდების დადგმა მიმმართველებისა და ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზოლების დატანა ქუჩის ასფალტირებულ საფარზე საგზაო ნიშნები და შუქნიშნები მონტაჟდება</p>



	ისე, რომ ადვილი და თავისდროული გასარჩევი და დასანახი იყოს იმ მძღოლისათვის ვისთვისაც არის გათვალისწინებული ქვეპროგრამის განხორციელების გზები:
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ქ. ხაშურში და დაბა სურამში ქუჩებსა და გზებზე საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის, ასევე დამსვენებლებისათვის საკურორტო სეზონზე მეტი უსაფრთხოება და დაცვა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01 01
პროგრამის დასახელება:	წყლის სისტემის რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1077.2 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ხაშურის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში იგეგმება: 2019 წლის გარდამავალი პროექტის ფარგლებში ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობების და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფორდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5989,8 ათასი ლარი, აქედან ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის მშენებლობის მეორე ეტაპის განსახორციელებლად 625,7 ათასი ლარი. შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასახლებებში იქნება სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება; - მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებას ექნება შეუფერხებელი წვდომა იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია იქნება უწყვეტ რეჟიმში რითაც ისარგებლებს 3000 ბენეფიციარი, ხოლო წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 01 02
პროგრამის დასახელება:	წყლის სათავე-ნაგებობების მოვლა-პატრონობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	23.3 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ა) დაბა სურამში ორხევის წყლის სათავე ნაგებობის, ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, წრომში სათავე ნაგებობის, წაღვლში სათავე ნაგებობის, ქვიშხეთში სათავე ნაგებობის, ალში სათავე ნაგებობის მოვლა-პატრონობა.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: წყლის სათავე ნაგებობის სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა და უსაფრთხოება.
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 02 02
	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია



პროგრამის დასახელება:	
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	50,1 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ხაშურის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში იგეგმება: დაზიანებული წყალ-კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაცია, კერძოდ ქალაქ ხაშურში თამარ მეფის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ხოლო წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად, ასევე განხორციელდეს სანიაღვრე არხების წმენდა და რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ხაშურის მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული წყალკანალიზაციის სისტემა და აღმოფხვრილი დაზიანებები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 01
პროგრამის დასახელება:	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	393.7 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 387,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას ა) კონტროლს ელექტრო ენერჯის ხარჯვაზე. ქუჩების განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ძირითად მომსახურებას: 1) უზნებზე ელექტროენერჯის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერჯის ხარჯვის დადასტურება, დახარჯული ელექტროენერჯის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 2) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერჯის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 03 02
პროგრამის დასახელება:	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	374,2 ლარი



	<p>პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას და რეაბილიტაციას, ამ სისტემაში ელექტრო ენერჯის მოხმარებაზე კონტროლის განხორციელებას. განათების სისტემის მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვაც უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რაც თავის მხრივ გულისხმობს: ა) სისტემის ტექნიკურად გამართულ მუშაობას. პროგრამით გათვალისწინებული ობიექტების ყოველკვირეული შემოვლა, ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევების გამოვლენა, შესაბამისად უმოკლეს ვადაში სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. 2) კონტროლის განხორციელება დღის განმავლობაში ღამის განათების ნათურების ანთების ფაქტზე, ელექტრო ენერჯის დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მათი გათიშვის უზრუნველყოფა და ამ კუთხით სისტემის გამართული მუშაობის აღდგენა. 3) კონკრეტულ უბანზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტური აქტებისა და დანახარჯთა ნუსხის წარმოდგენა ამ მიზნით საჭირო დაფინანსების მისაღებად. 4) ცალკეულ უბნებზე ელექტროენერჯის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერჯის ხარჯვის აქტების დადასტურება, დახარჯული ელექტროენერჯის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 5) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერჯის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 955 -ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8088-ზე მეტ სანათ წერტილს, 284317 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის, ლამპიონების მოვლა-პატრონობა. ღონისძიების ფარგლებში მოხდება გარე განათების ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა, დამწვარი ნათურების შეცვლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. გარე განათების ქსელის მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტის შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: სოფელი ცხრამუხა, სოფელი თავგეთი. სოფელი გომი, სოფელი აგარები, სოფელი ვაყა, სოფელი დიდი სატივე. სოფელი ზემო ოსიაური, სოფელი ქვემო ოსიაური, სოფელი ახალსოფელი, სოფელი პატარა სატივე, სოფელი ქვემო აძვისი, სოფელი ხიდისყური, სოფელი წრომი, სოფელი დიდი ყელეთი, სოფელი ახალშენი, სოფელი იმერლიანთ კარი, სოფელი ნადარბაზევი. სოფელი ხცისი, სოფელი მიწობი. სოფელი დიდი ხალები, სოფელი პატარა ხალები, სოფელი ღვრიაწყალი, სოფელი ღართა. სოფელი ცოცხნარა, სოფელი ქემფერი, სოფელი ომისი, სოფელი ცეღანი, სოფელი წაბლოვანა, სოფელი ცივწყარო. სოფელი დიდი ფლევი, სოფელი პატარა ფლევი, სოფელი ნაცარგორა, ტკოცა. სოფელი ალი, უწლევი, ნაბახტევი, მცხეთიჯვარი, დუმატხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ბრილი, ახალუბანი, ქინძათი. სოფელი წაღვლი, სოფელი ქვემო ბროლოსანი, სოფელი კლდისწყარო, წეღვერი, ჩორჩანა. სულ მუნიციპალიტეტში ელექტრო გადამცემი ხაზები 284317გ/მ, საყრდენების რაოდენობა 955 ცალია, ნათურების რაოდენობა 8088 ცალია.</p>
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით და არსებული ნათურების ეფექტური დიოდური ნათურებით ეტაპობრივად ამოცვლა.</p>



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 04
პროგრამის დასახელება:	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	136.8 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებები. ბიუჯეტით გათვალისწინებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა პროგრამით ამხანაგობა აწარმოებს ბინათმესაკუთრეთა აღრიცხვის ჟურნალს ამხანაგობა წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ და პრობლემის არსს, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განცხადება.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, რეაბილიტირებული შენობები

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	854.4 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა იმ ღონისძიებებისა და სამუშაოთა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასიკეთო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამა უნდა შედგეს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების გათვალისწინებით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა“. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 01
-------------------------------	-------------



პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია, მშენებლობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	570.4 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში სპორტული მოედნების მოწყობა გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა სურამში, სოფელ ნაბახტევში და მცხეთიჯვარში სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო გარემო, სივრცე ჯანსაღი ცხოვრების წესის დასმკვიდრებლად.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 02
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკების და სკვერების მოწყობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	168.6 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში მუნიციპალიტეტის ქალაქ ხაშურის და დაბა სურამის ტერიტორიაზე მოწყობა პარკები და სკვერები
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 03
პროგრამის დასახელება:	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	36,8 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ვიზუალურად ესტეტიკური გრემოს შექმნა მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 04
პროგრამის დასახელება:	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	46,6 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16-ე მუხლის მეორე პუნქტის „ს)“ ქვეპუნქტის შესაბამისად მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სასაფლაოების მოვლა-პატრონობის საკითხზე;</p> <p>„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა - პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 ივლისის №60 დადგენილება განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის – ხაშურის მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობისა და მართვის, მოვლა-პატრონობის, სარიტუალო მომსახურების, სასაფლაოების დახურვის, გაუქმების ლიკვიდაციისა და ახალი სასაფლაოების გახსნის წესებს.</p> <p>აღნიშნული წესით სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლაოების (სამარხების) ქაოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს:</p> <p>ა) დასაფლაოებისათვის ნაკვეთების (სექტორების) გამოყოფა და მათი გამოყენების რიგითობა;</p> <p>ბ) გასასვლელებისა და ფეხით სავალი გზების მიმართულება, ზომები და კეთილმოწყობა;</p> <p>გ) მწვანე ნარგავების განთავსება და ხასიათი;</p> <p>დ) სასაფლაოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობები და ნაგებობები (საოფისე შენობა, წყალგაყვანილობა, ყვავილების მაღაზია, საზოგადოებრივი ტუალეტი, დაკრძალვის წინ ცხედრის დასასვენებლად (სამოქალაქო პანაშვიდი და ა. შ.) განკუთვნილი სპეციალური შენობა და ა. შ);</p> <p>ე) სასაფლაოს გამწვანება, სასაფლაოს პერიმეტრის გასწვრივ დამცავი მწვანე ნარგავების გაშენება და დეკორატიული ნარგავების დარგვა. ძირითად ხეივნებსა და დაკრძალვის ადგილებში საკმარისი განიავების უზრუნველყოფით;</p> <p>ვ) სასაფლაოს შესასვლელებში საავტომობილო სადგომის მოწყობა;</p> <p>ზ) საფლაოებისა და საფლაოში და სამარხების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა.</p> <p>ამ საქმიანობას და სასაფლაოების მართვას წესის მე-6-ე მუხლის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხაშურსერვისი“, რომლის მართვაში საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება</p>



იყოს როგორც ახალი სასაფლაოს ტერიტორია, ასევე უკვე არსებული სასაფლაო (სასაფლაოები).

სასაფლაოების მმართველი „ხაშურსერვისი“ ახორციელებს სასაფლაოების მართვასთან, მათ მოვლა-პატრონობასთან, გარდაცვლილის ნეშტის დაკრძალვასთან დაკავშირებით საჭირო შესაბამის მომსახურებას და ვალდებულია განახორციელოს შემდეგი მომსახურება:

ა) სასაფლაოებზე საფლავების (სამარეების) დადგენილი წესით გამოყოფა;

ბ) სასაფლაოზე გამოყოფილი სამარის გათხრა და ამოვსება;

გ) გარდაცვლილის სამარეში ჩასვენება;

დ) სამარხზე სარეგისტრაციო ფირფიტის დაყენება, საფლავებისა და საფლავში სამარეების აღრიცხვა-ნუმერაცია და სხვა;

ე) სასაფლაოების გასასვლელების, ბილიკების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების და არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;

ვ) დაინტერესებული პირებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;

ზ) საფლავის პასპორტის გაცემა ახალი საფლავის გაცემისას;

თ) საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა მომსახურების გაწევა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის სფეროში დღეის მდგომარეობით განსაკუთრებით თვალშისაცემია გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და ჭირისუფლების მიერ საფლავისათვის დადგენილი ნორმების დარღვევა და დამატებითი ფართობების დაკავება, ასევე დაგეგმარების გარეშე, ქოტურად საფლავების მოწყობა, რაც თავის მხრივ იწვევს მიწის საკითხებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემის წარმოქმნას. ასევე დღის წესრიგში დგას საფლავების დაზიანება ამორტიზირებული ხეების დაწოლით, რასაც ემატება შიდასაკვარტალო გზების მოუწყობლობა და ეკალ-ბარდებით მოფენილი. შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია შესაბამისი პროგრამის - „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა“ - ამოქმედება.

მოსალოდნელი შედეგი

შეთავაზებული სერვისების სახეობების და მოცულობის შესახებ მონაცემების 25%-ნი ზრდის მაჩვენებელი სათანადოდ დამოწმებული განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მონაცემები 1-ჯერ აღმატება მანამდე არსებულ მონაცემებს სათანადოდ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები 2-ჯერ აღმატება მანამდე არსებულ მონაცემებს

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 05 01 05
პროგრამის დასახელება:	სასაფლაოების შემოღობვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	32,0 ლარი



პროგრამის მიზანი და აღწერა	ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების შემოღობვა და გამართული ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობის სფეროში დღეის მდგომარეობით განსაკუთრებით თვალშისაცემია. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების და სამუშაოების ჩატარება.
მოსალოდნელი შედეგი	გამართული ინფრასტრუქტურა მა მოსახლეობის კმაყოფილების ღონის ამაღლება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 06
პროგრამის დასახელება:	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.
დაფინანსება	1407,5 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება სოფლად მნიშვნელოვანი პროექტები სოფლის კრებების/კონსულტაციების ფონზე, სადაც მოსახლეობამ თავის სოფელში შემდეგი პროექტების განხორციელებას უნდა დაუჭიროს მხარი, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) ქვეკომპონენტია, რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, რომელსაც მოსახლეობა დასახლებების მიხედვით ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერი #2752 განკარგულებით განსახორციელებელი ღონისძიებები გათვალისწინებულია თანხით 844,0 ლარი, ხოლო გასული 2019 წლის ნაშთი, რომელიც მიიმართება ახალი პროექტებისათვის შეადგენს 72.3 ათას ლარს დანარჩენი თანადაფინანსება ადგილობრივი სახსრებით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სოფლად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სოფლად დამკვიდრება.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 07
პროგრამის დასახელება:	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.
დაფინანსება	780,1 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ზედამხედველობა გაეწიოს პროექტების განხორციელებას, შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.



	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდერტებს) ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შექმნილი პროექტები</p>

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	02 08
პროგრამის დასახელება:	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	58,3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	სტიქიის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, მდ. სურამულას გაბიონების მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის პრევენცია. მოწყობილი გაბიონები მდ. სურამულაზე

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ერთერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა და დასუფთავება, წსკვერების, წყლის სისტემების და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება.

	დასახელება	2018 წ. ფაქტი	2019 წ. ფაქტი	2020 წ. გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1241,9	1187,9	1628,32
03 01	ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა	929,5	872,3	1382,6
03 01 01	ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა	924,4	872,3	933,3
03 01 02	მდინარეების, არხების რეაბილიტაციისა და გაწმენდის ღონისძიებები	5,1	0,0	449,32



03 03	მწვანე ნარგავების, ს მოვლა-პატრონობა, განვითარება	249,6	192,5	185,9
03 03 01	მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასავენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (ხაშურსერვისი)	249,6	192,5	185,9
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობის პროგრამა	62,8	62,7	59,6

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01 01
პროგრამის დასახელება:	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	933,3 ათასი ლარი
	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. კეთილმოწყობის წესების ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს კეთილმოწყობის ობიექტების დალაგებას, დასუფთავებას, სანიტარული პირობების დაცვას, ნარჩენების გატანას და მათ ეკოლოგიურად უსაფრთხო უტილიზაციას. გათვალისწინებულ უნდა იყოს სეზონების მიხედვით ჩასატარებელი დასუფთავების სამუშაოები (ზამთრის პერიოდში თოვლისა და ყინულისგან გაწმენდა, ზაფხულის პერიოდში მორწყვა და ა.შ.).</p> <p>დაგვილი და დასუფთავებული ქუჩები მოედნები და ტროტუარები გაწმენდილი კიუვეტები და ნიაღვარგამშვებები მოსახლეობის ორგანიზაციების კვებისა და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენებისაგან გათავისუფლებული სანაგვე ურნების მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიურ იერსახეზე ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე ქვეპროგრამას საფუძვლად უდევს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა. პროგრამა მიმართულია დადგენილი პერიოდულობით მოსახლეობის სიმჭიდროვის პრესტიჟულობის ადგილ მდებარეობის გათვალისწინებით შესაბამისად ქალაქ ხაშურის და დაბა სურამის ცენტრალური ქუჩების მოედნების და ტროტუარების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი გადანაყარის გატანის მომსახურება მოიცავს ა) განსაზღვრული ტერიტორიების დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე ბ) მოედნებისა და ქუჩის ტროტუარების და სავალი ნაწილის დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე გ) დანალექი მასისაგან და სარეველა მცენარეებისაგან ტროტუარის კიდეების ბორდიურების და სავალი ნაწილის ნაწილურის გასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე დ) საავტომობილო ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიების ორივე მხარეს დასუფთავება გაწმენდა და მოგროვილი გადანაყარის სპეც ავტომანქანაზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება და ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ</p>



პროგრამის მიზანი და აღწერა

აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება მოიცავს ა დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას ცხრილი ის შესაბამისად ბ დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას ქალაქ ხაშურში დაბა სურამში განთავსებული კონტეინერების და ხელით დასაცლელი სანაგვე ურნების დასუფთავებისა და მოგროვილი ნარჩენების ნაგვის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე გატანის მომსახურება მოიცავს ა) დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე არსებული სანაგვე კონტეინერების დასუფთავებას და მოგროვილი ნარჩენების ნაგვის სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას ბ) სანაგვე კონტეინერების განთავსების ადგილების დაგვა დასუფთავებას გ) ხელით დასაცლელი პატარა მოცულობის სანაგვე ურნების დასუფთავებას და მოგროვილი ნარჩენების ნაგვის სპეც ავტოტრანსპორტზე დატვირთვას და ნაგავსაყრელზე გატანას. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კიუვეტების ნიაღვარგამშვებების წყალსანიერების სისტემების წმენდა და გატანის მომსახურება მოიცავს ა) კიუვეტების და არხების წმენდა გასუფთავება და კიუვეტების და არხების წმენდისას განსაზღვრულ ადგილებში შეგროვილი დანალექი მასის დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მომსახურება ხორციელდება ქალაქ ხაშურში დაბა სურამში, სოფელი ქვიშხეთი, სოფელი რუსაანთუბანი, სოფელი სათივე, სოფელი ტეხერი, სოფელი სავანისუბანი, სოფელი ყიფიანთუბანი, სოფელი ტაშისკარი, სოფელი სარმანიშვილისკარი. სოფელი ცხრამუხა, სოფელი თაგვეთი. სოფელი რბონა სოფელი გომი, სოფელი აგარები, სოფელი ვაყა, სოფელი დიდი სატივე. სოფელი ზემო ოსიაური, სოფელი ქვემო ოსიაური, სოფელი ახალსოფელი, სოფელი პატარა სატივე, სოფელი ქვემო აძვისი, სოფელი ხიდისყური, სოფელი წრომი, სოფელი დიდი ყელეთი, სოფელი ახალშენი, სოფელი იმერლიანთ კარი, სოფელი ნადარბაზევი. სოფელი ხცისი, სოფელი მიწობი. სოფელი დიდი ხალები, სოფელი პატარა ხალები, სოფელი ღვრიაწყალი, სოფელი დართა. სოფელი ცოცხნარა, სოფელი ქემფერი, სოფელი ოძისი, სოფელი ცედანი, სოფელი წაბლოვანა, სოფელი ცივწყარო. სოფელი დიდი ფლევი, სოფელი პატარა ფლევი, სოფელი ნაცარგორა, ტკოცა. სოფელი ალი, უწლევი, ნაბახტევი, მცხეთიჯვარი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ბრილი, ახალუბანი, ქინძათი. სოფელი წადვლი, სოფელი ქვემო ბროლოსანი, სოფელი კლდისწყარო, წედვერი, ჩორჩანა. სულ დაგვა დასუფთავების ფართობები ქალაქ ხაშურში 48100 მ² და დაბა სურამში 15500 მ² · ხოლო სოფლად 25686,80 მ² ხოლო ნაგვის ურნების რაოდენობა 525 ცალია სხვადასხვა ტევადობით.

მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: გაუმჯობესდება ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია. ქვეპროგრამის შედეგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის და გარემოს დაცვის გაუმჯობესება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 01 02
პროგრამის დასახელება:	მდინარეების და არხების წმენდა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	449,32 ათასი ლარი
	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების და არხების გაწმენდა, მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი სამუშაოებია, რაც სტიქიის პრევენციისთვის და ჰიგიენის ნორმების დაცვისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეალურად მდინარეების და არხის გამტარუნარიანობა პერიოდულად იზღუდა, რაც გამოწვეულია (სურამულა, ბიჯნისულა,



<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>მტკვარი, ტილიანა, ფრონე, ჭერათხეულა) მდინარის კალაპოტში მიმდინარე აკუმულაციის შედეგად კალაპოტი ივსება მყარი ნატანით, ზოგიერთ მონაკვეთზე კალაპოტში ამოსულია ბუჩქნარი. ყველაფერი ეს ამცირებს კალაპოტის კვეთს, რაც უხვი ნალექის დროს ძლიერი წყალმოვარდნების და წყალდიდობების</p> <p>დროს იწვევს წყლის ნაკადის გადმოსვლას ნაპირებიდან და ქალაქის, დაბის და სოფლების დასახლების მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების დატბორვას, რაც სერიოზული ზარალს აყენებს მოსახლეობას. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მდინარის კალაპოტის გაწმენდა-გაფართოება, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: პროექტი ხელს შეუწყობს მდინარეების წყალგამტარიანობას და შესაბამისად ადიდებული მდინარის საშიშროების პრობლემა მოიხსნება.</p>

<p>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</p>	<p>03 03</p>
<p>პროგრამის დასახელება:</p>	<p>მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა და განვითარება</p>
<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</p>	<p>ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p>185,9 ათასი ლარი</p>
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>მწვანე საფარს მიკუთვნებული ობიექტების მდგომარეობა ერთის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქის ესთეტიურ იერსახეზე, ხოლო მეორეს მხრივ ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხზე. კეთილმოწყობილი და მოვლილი სკვერები, ბალები, გაზონები და გამწვანების ობიექტები წარმოადგენენ ქალაქის ერთგვარ სავიზიტო ბარათს, იმიჯს. მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადამიანის ყოველდღიურ ყოფაზე და მოღვაწეობაზე. ქალაქის გამწვანების უპირველესი დანიშნულებაა - ქალაქის ატმოსფეროს გაჯანსაღება. აუცილებელია გამწვანების ობიექტების, ბალების, სკვერების, გაზონების აღდგენა და მოქალაქეთა სამსახურში ჩაყენება, რათა ინტენსიურად წარიმართოს ფოტოსინთეზისა და გამონაბოლქვი აირების 6 მცენარეების მიერ შთანთქმის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონი პირდაპირ ადგენს შესაბამისი თვითმმართველობის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რესურსების მობილიზების აუცილებლობას. ამ ფონზე არსანიშნავია, რომ ქ. ხაშურის და დაბა სურამის გამწვანების ობიექტების მდგომარეობა და კეთილმოწყობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე და ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს. აღარ ფუნქციონირებს გამწვანების სანერგე მეურნეობა, სადაც ხდებოდა როგორც ყვავილების ჩითილების გამოყვანა, ისე დეკორატიული ხე-მცენარეებისა და ბუჩქების გამოყვანა-ფორმირება პროგრამას საფუძვლად უდევს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება და პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ასევე ეფუძნება იმ გარემოებასაც, რომ თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა ძირითადი ქონების სახით სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები და მწვანე ნარგავობები. გამწვანების ობიექტების, როგორც ძირითადი ქონების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა. მოსახლეობისათვის კულტურული და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნა, დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის დაცვა, სასმელი წყლის სისტემის და შადრევნების მომსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოხდება</p>



მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: გამწვანებული, ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცული გარემო; სასმელი წყლის სისტემისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება. ქალაქის ატმოსფეროს გაუმჯობესება მწვანე საფარის, გაზონებისა და ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილნარების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესრულება 2 მოქალაქეთა ესთეტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მოქალაქეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (სკვერები, გაზონები და ა.შ) სხვადასხვა ჯიშისა და შეთანაწყობებული ფერების ყვავილნარების მოწყობის, დეკორატიული ბუჩქებისა და ხე-მცენარეების ფორმირებისა და მოვლაპატრონობის ჩატარებული სამუშაოების მოცულობა 3 ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესება მოქალაქეთა მიერ გამოხატული აზრით შეფასება</p>
--------------------	---

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	03 04
პროგრამის დასახელება:	უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქვეპროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	59,6 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამა მიმართულია ქალაქ ხაშურის, დაბა სურამის დასახლებათა ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი და მაწანწალა ცხოველების (ძაღვები, კატები, პირუტყვი) პოპულაციის რაოდენობის კონტროლის ხელშეწყობა და ტერიტორიიდან იზოლაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი წვრილფეხა და მსხვილფეხა ცხოველების სპეციალურ ადგილზე (ცხოველთა თავშესაფარში) გადაყვანა და მოვლაპატრონობა, რაც გულისხმობს მათ დაჭერას, ავტოტრანსპორტში მოთავსებას და გადაყვანას სპეციალურ სადგომში, სადაც უნდა მოხდეს ცხოველის კვება და მოვლა-პატრონობა, ხოლო დაკვირვების შედეგად აღმოჩენილი დაავადებული ცხოველების</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ადამიანებისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა იზოლირებული ცხოველების მათ შორის პირუტყვის რაოდენობა განსაკუთრებით აგრესიული მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება მოსახლეობის მოთხოვნაზე რეაგირების ვადა და შემოსული განცხადებების რაოდენობის შემცირება ცხოველების მოვლა პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობა მოწყობილი თავშესაფარის შესაბამისობა და ვეტერინარის მომსახურებაზე ფაქტობრივი მონაცემები თავშესაფარში მოვლა პატრონობას და მკურნალობას დაქვემდებარებული ცხოველების რაოდენობა საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტში ძაღვების და კატების მოვლა პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის მოთხოვნათა შესრულებაზე მონაცემები</p>

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა რომ : ბავშვის უფლებას ჰქონდეს ისეთი ცხოვრების სტანდარტი რაც ადექვატურია ბავშვის ფიზიკური, გონე მორალური და სოციალური განვითარებისათვის საქართველოს მთავრობამ აიღო ძლიერი ვალდებ: ასაკიდან ბავშვთა განვითარების პრინციპების მიმართ და მხარს უჭერს ბავშვთა განვითარებული, ემოც სოციალურად ადაპტირებული სწავლის შესაძლებლობის რაც დადასტურებულია ეროვნული



დემონსტრირებულია მიმდინარე პროგრამებით. განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმის განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულდება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად. განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება: გაუმჯობესდება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება მომზადებისა და გადამზადების სისტემა, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

04 00	განათლება	2018 წ. ფაქტი	2019 წ. ფაქტი	2020 წ. გეგმა
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2264,8	2039,4	3141,4
04 01 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2264,8	2039,4	2088,6
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	0	873,4	1052,8

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“.
დაფინანსება	2088,6 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. გაერთიანება მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს- №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14 15, №16, №17, №18 საბავშვო ბაღს და სამ ალტერნატიულ სააღმზრდელო ჯგუფს. მათ შორის ხაშურში განთავსებულია №1–№8 საბავშვო ბაღები, №9 დაბა სურამში, №10 სოფელ ცხრამუხაში, №11 სოფელ ალში, №12 სოფელ ოსიაურში, №13 სოფელ გომში, №14 სოფელ ვაყაში, №15 სოფელ ქვიშხეთში, №16 სოფელ წრომში, №17 სოფელ ტეზერში, №18 სოფელ სატივეში და გათვლილია 2 065 ბავშვზე; პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. პროგრამის არსი პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას სასწავლო და არასასწავლო პერიოდში; ადგილობრივი თვითმმართველობა ხელს უწყობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების – საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას; ადგილობრივი თვითმმართველობა ზრუნავს ბავშვთა კვებასა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის</p>



	<p>ამაღლება და სხვა. ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფები ფუნქციონირებს სოფლებში: ფლევეში, ბიჯნისსა და წაღვლში საქართველოში ჯერ კიდევ არიან დასახლებული პუნქტები სადაც არ არის სკოლამდელი დაწესებულებები. იქ სადაც ბავშვების სიმცირის გამო სტანდარტული დიდ შენობაში განთავსებული საბავშვო აღის შენვხა არაენტაბელურია სწორედ ასეთ შემთხვევაში სკოლამდელი განათლების ცენტრი განთავსდეს (სკოლის, ბიბლიოთეკის) ალტერნატიულ შენობებში, მისი მუსაობის გრაფიკი კი საშუალებას იძლევა სასურველი სამუსო საათი, რომ არ შეიქმნეს ბავშვების კვებით უზრუნველყოფის აუცილებლობა და შესაბამის ასეთი ცენტრი არ მოითხოვს სპეციალურ აღჭურვილობას და დამატებით შტატებს. ბაღის პროგრამები კომპლექსურია და მეთოდიკა სრულყოფილი და მოქნილი. ხოლო ბავშვები ეცნობიან გარემოს, სწავლობენ მეტყველებას აზროვნებას და ემზადებიან სასკოლოდ.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების ხელმისაწვდომობა; მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა. შეფასების ინდიკატორი: სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა; აღსაზრდელთა რაოდენობა.</p>

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02
პროგრამის დასახელება:	საჯარო სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	1052,8 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის #27 განკარგულების საფუძველზე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: პროექტი ხელს შეუწყობს მდინარეების წყალგამტარიანობას და შესაბამისად ადიდებული მდინარის საშიშროების პრობლემა მოიხსნება. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა განათლების სფეროში.</p>

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეუ შესაბამისად გაგრძელება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურ ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენ

05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა, და სპორტი	2018 წ ფაქტი	2019 წ ფაქტი	2020 წ გეგმა
-------	---	--------------	--------------	--------------



05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა, და სპორტი	2880,6	3278,8	3026,9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1755,8	1338,8	1210,6
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	270,0	602,9	170,8
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	304,8	250,8	460,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბლიტაცია	1181,0	638,3	579,8
05 01 03 01	სპორტული კომპლექსის მშენებლობა	1181,0	286,2	0,0
05 01 03 02	ქ. ხაშურში სტადიონის მშენებლობა	0,0	352,1	579,8
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1104,8	1793,1	1669,3
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	147,6	181,6	98,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	192,8	224,6	358,9
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	144,4	161,6	163,7
05 02 04 02	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა	256,2	304,3	316,7
05 02 04 03	საქალაქო კულტურის ცენტრის რეაბლიტაცია	0,0	91,8	206,3
05 02 04 04	ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა	0,0	0,0	72,0
05 02 05	მუზეუმების ხელშეწყობა	257,8	729,2	311,4
05 02 06	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	40,7	40,8	42,3
05 02 07	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	65,3	100,0	100,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭრა	19,9	146,9	147,0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
პროგრამის დასახელება:	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)
დაფინანსება	170,8 ათასი ლარი
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: სპორტული გუნდებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატება. ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა და წარმატებული სპორტსმენების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია. პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას, ახალგაზრდა თაობის სწორ და ჯანსაღ განვითარებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას. შეფასების ინდიკატორი პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობა; სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწევების მქონე სპორტსმენთა რაოდენობა.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 02
პროგრამის დასახელება:	სპორტული სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)
დაფინანსება	460,0 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის 12 მირითად სახეობაში. მეცადინეობები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძველად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“ პროგრამის არსი: კომპლექსურ სასპორტო სკოლაში გაწევიანებულია 1 359 ბავშვი. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, პირველ რიგში, მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მკვნი ჩვევებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას ეროვნული ნაკრებებისთვის. ამასთანავე, ქმნის და ავითარებს სპორტის სხვადასხვა სახეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური საწვრთნელო ბაზებს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხელს შეუწყობს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირებას, მომუშავეთა შრომის სტაბილურ ანაზღაურებას და დამსახურებულ მწვრთნელთა (რომელთაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მიეცემათ დამსახურების მოწმობა) წახალისებას, რომლებიც აღზრდიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს დიდებში ან გუნდურ სპორტის სახეობებში გაზრდიან ეროვნული ნაკრებების წევრებს.ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო (2 ჯგუფი), ჭიდაობა სამბო (2 ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5 ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1 ჯგუფი), ქართული ჭიდაობა (3 ჯგუფი), ჭადრაკი (1 ჯგუფი), კალათბურთი (6 ჯგუფი), ფეხბურთი (15 ჯგუფი), ჩოგბურთი (1 ჯგუფი), ძალოსნობა (2 ჯგუფი), რაგბი (3 ჯგუფი), ბატუტზე ხტომა (2 ჯგუფი). დაბა სურამში: ძიუდო (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), რაგბი (2 ჯგუფი). სოფლებში: სოფ. ვაყაში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. გომში – ჭადრაკი (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი (2 ჯგუფი), სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო (1 ჯგუფი); სოფ. კლდისწყაროში – ძალოსნობა (1 ჯგუფი), სოფ. ფლევი – ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი (1 ჯგუფი).</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. შეფასების ინდიკატორი სხვადასხვა დონის ტურნირებზე წარმატებულ სპორტსმენტთა რაოდენობა.</p>



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 03
პროგრამის დასახელება:	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	579,8 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ამავდროულად დასრულდება ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა 579,8 ათასი ლარი (მგფ-ის თანადაფინანსება, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი - „გრანტი“, რაც რეალურად მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივებს შეადგენს) რაც უზრუნველყოფს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნას დაგეგმილი მატჩებისათვის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი უზრუნველყოფს შეუფერხებლად მასპინძლობას გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 01
პროგრამის დასახელება:	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ243918070).
დაფინანსება	98,0 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანი: სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: 3 მარტს–დედის დღის, 8 მარტს–ქალთა საერთაშორისო დღის, 9 აპრილს–ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დადუპულთა მოგონების დღის, 26 მაისს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები. სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება. ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში. განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის გაზრდას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ 3 - 8 მარტს, დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ფასიანი საჩუქრების გადაცემა; ○ წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები; ○ 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა; ○ 9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ვეტერანებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;



პროგრამის მიზანი და აღწერა

- 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დაწყება- დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- 1 ივნისს- ბავშვთა დღის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ბავშვებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულის “ლესიაობის” ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლიტვაში, დამძობილებულ ქალაქ რადვილინსკში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ბელორუსიაში, დამძობილებულ ქალაქ გორკში, ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლატვიაში, დამძობილებულ ქალაქ ბაუსკაში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- პოლონეთში, დამძობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- შვედეთში, დამძობილებულ ქალაქ ჰედემორაში, ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- თეატრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;
- ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;
- 27 სექტემბერი- აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- სახალხო დღესასწაულის „ხაშურქალაქობა 2019“ ჩატარების ორგანიზება;
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია;
- საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწყობა;
- ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა;
- 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
- დ. ყიფიანის სახლმუზეუმის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიება;
- სხვადასხვა დონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა;

მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნა დღესასწაულების მიმართ.

უცხო ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მათი წარმომადგენლების ინტერესის ზრდა ქართული კულტურის მიმართ.

ქართული კულტურისა და მართლმადიდებლური ტრადიციების გაღრმავება.

შეფასების ინდიკატორი: ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02 02
პროგრამის დასახელება:	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანებას (ს/კ 443864267).
დაფინანსება	228,2 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში. პროგრამის არსი პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, სასწავლო და არასასწავლო პერიოდში. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში, მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება. შეფასების ინდიკატორი მოსწავლეთათვის მუსიკალური განათლების მიღება; სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; მოწვეული სტუმრების რაოდენობა; სხვადასხვა ღონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა.
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 02 01
პროგრამის დასახელება:	მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	130,7 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	პროგრამის მიზანი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში. პროგრამის არსი პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, სასწავლო და არასასწავლო პერიოდში. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში, მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.



მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება. შეფასების ინდიკატორი მოსწავლეთათვის მუსიკალური განათლების მიღება; სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; მოწვეული სტუმრების რაოდენობა; სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა. მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა.</p>
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 03
პროგრამის დასახელება:	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას (ს/კ243918098).
დაფინანსება	163,7 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, დაბა სურამში, სოფელ ხცისში და სოფელ ცხრაშუხაში განთავსებული ბიბლიოთეკები. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება როგორც ადგილზე, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათაშორის აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთაგაცვლის საშუალებით, საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისთვის, ელექტრონული მეთოდის შექმნა და წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04 01
პროგრამის დასახელება:	კულტურის ცენტრების რეაბილიტაცია
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	278,3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	დასრულდება ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია 206,3 ათასი ლარი. ხაშურში ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის დასრულება 36,0 ათასი ლარი მიმდინარე წლის, ხოლო 2019 წლის ვალდებულება 36,0 ათასი ლარ სულ 72,0 ათასი ლარი.
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა.



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 04 02
პროგრამის დასახელება:	კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ 243918070).
დაფინანსება	316,7 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება, რომელიც მოიცავს შემდეგ ობიექტებს: თოჯინების თეატრს, საქალაქო კულტურის ცენტრს, სურამის და ქვიშხეთის კულტურის ცენტრებს და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაცია. მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით. სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია. ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის. შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა. შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა. შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა. ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწყობა და წახალისება. თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა. ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა. კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ამაღლება. გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ხელოვნების დარგების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება. შეფასების ინდიკატორი: ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა; საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა; შემოქმედი ბავშვების მიერ ორგანიზებული პროექტების რაოდენობა; კმაყოფილი მოსახლეობა. მოსახლეობისათვის მიმზიდველი სახელოვნებო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, პოპულარიზაცია, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05 01
პროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური“ და ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებას (ს/კ 243918089).
დაფინანსება	203,7 ათასი ლარი
	პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ



პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი. პროგრამის მიზანი ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება. პროგრამის ძირითადი მიმართულებები კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია; საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა; მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია; მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია; სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება; სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია; ტურისტული პოტენციალის გაზრდა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები. დამთვალეიერებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება. მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება. ტურისტული პოტენციალის გაზრდა. შეფასების ინდიკატორი: სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობა; მუზეუმში დაცული ექსპონატების დამთვალეიერებელთა რაოდენობა; ორგანიზებულად განხორციელებული პროექტების და მათში მონაწილეთა რაოდენობა. ტურისტთა რაოდენობის ზრდა. დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და დაინტერესების ზრდა.</p>

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 05 02
პროგრამის დასახელება:	მუზეუმების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ს.
დაფინანსება	100.0 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	მიმდინარეობს დაბა სურამში ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია 20
მოსალოდნელი შედეგი	აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები. დამთვალეიერებელთა რ
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 06
პროგრამის დასახელება:	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მუნიციპალიტეტის გაზეთ ხაშურის მოამბის“ (ს/კ 443860984).
დაფინანსება	42,3 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანი გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა; ადგილობრივი მნიშვნელობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება; მუნიციპალიტეტის და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა; ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა. პროგრამის არსი პროგრამის შესაბამისი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ა.ა.ი.პ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დაფინანსებას და მისი განხორციელების მიზნით. „ხაშურის მოამბის“ რედაქციის უზრუნველყოფის გაზეთის გამოცემას კვირაში ერთხელ და ლიტერატურული დამატებით ერთხელ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საინფორმაციო მოამბის“ ყოველკვირეული გამოცემის დაფინანსება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დამთვალეიერებელთა რაოდენობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე. შეფასების ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობებში.</p>



პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 02 07
პროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური
დაფინანსება	100,0 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.</p> <p>რელიგიური დაწესებულებების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარებით ხელი ეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში. ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში მრავალი ისტორიული და რელიგიური კერა არსებობს, რომლებიც შესაბამის დახმარებას და მხარდაჭერას საჭიროებენ ფინანსური კუთხით. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური კერების მშენებლობის, აღდგენა/რეაბილიტაციის ხელშეწყობა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარება. 7. პროგრამით ისარგებლებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანიზაცია/დაწესებულება რომელიც შემოიტანს შესაბამის განცხადებას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრими ტურისტების გაზრდილი რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული მნიშვნელობის ტაძრებისა და რელიგიური კერების მშენებლობა, აღდგენა/რეაბილიტაცია, რესტავრაცია 1. რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა/მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. 2. ტურისტების/მრევლის რაოდენობა.</p>

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 03
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
დაფინანსება	147,0 ათასი ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანი: ახალგაზრდულ ღონისძიებათა ორგანიზება. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ-სემინარების კონფერენციების, ფორუმების მოწყობა ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებზე). სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დახმარება და ხელშეწყობა განათლების მიღებაში. ხელშეწყობა საერთაშორისო ურთიერთობის გასაღრმავებლად. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ახალგაზრდების ნიჭის თვითრეალიზაციის ხელშეწყობა. ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა. ახალგაზრდა თაობაში შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა. ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება. ხორციელდება სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება დასახლებული პუნქტებიდან სკოლამდე.</p> <p>განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა,</p>



ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროგრამის მიზანი და აღწერა

- ინტელექტუალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა და გამოვლენილ გამარჯვებულებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- პროექტ „ეტალონი“ მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობა და გამარჯვებულზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- პროექტის „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები (ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მართონი სირბილში, ქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების აქცია);
- 2020 წელს 100%-იანი დაფინანსებით ჩარიცხული სტუდენტების დაჯილდოვება;
